ბრძოლის ხმა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

1933 წ. აპრილი

პარიზი

N° 32

1933 — AVRIL

Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა

«L' ECHO DE LA LUTTE»—Revue mensuelle du Parti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერნაციონალში

სოც. ინტერნაციონალში ამ ბოლო დროს წარმოებული ბოლშევიზანური პოლიტიკა სასტიკათ დამარცხდა, დამარცხდა როგორც ნაციონალურ ისე ინტერნაციონალურ მასშტაბში. ამის უტყუარი საბუთებია ამავე ნომერში მოთავსებული ინფორმაცია ამ საგანზე. ფაშიზმის წინააღმდეგ ბოლშევიზმთან შეამხანაგება ნიშნავს გამაგრებას იმავე შავი ფაშიზმის და გაძლიერებას იმავე წითელი ფაშიზმის. ეს ორფეროვანი სახე აბია ერთ და იმავე სხეულს, ერთ და იმავე პოლიტიკურ წყობილებას, ერთ და იმავე მეთოდს, ბრძოლას და მოქმედებას. ჰიტლერი იგივე ლენინია. საერთო მსოფლმხედველობით და სამოქმედო გზებით. ორივე ერთ ნაირათ აღიარებს მტლანქ ძალმომრეობას საზოგადოების უმაღლეს მსაჯულათ და ბატონათ. ორივე ერთნაირი უცერემონიოთ უმასპინძლდება მოწინააღმდეგეთ. სპობს და ანგრევს ყოველნაირ თვითმოქმედებას და თვითმოძრაობას და უმორჩილებს თვითეულ მოქალაქეს ყაზარმას. ლენინიზმის სიყვარული და ჰიტლერიზმის სიძულვილი შეუთავსებელია; ეს ერთი და იმავე ხისაგან გამოჭრილი ჩიბი და ბარია. ისინი ერთიმეორეს კვებავენ. ერთიმეორეს ბადებენ. ამ გენეოლოგიაში პირველობა ეკუთვნის ბოლშევიზმს, მან დაბადა ფაშიზმი იტალიაში, ის შეიქნა კვარცხლბეკი ჰიტლერისა გერმანიაში.

როცა ქუჩას დაეპატრონება ალვირახსნილი ბრბო, რომლის წინაშე დემოკრატიული ხელისუფლება იარაღს ყრის და შორიდან სეირს უყურებს, რა უნდა ქნას ხალხმა, ერმა, რომელსაც არსად წასვლა არ შეუძლია და ვერც ცხოვრებაზე ხელს აიღებს? ის ეძებს ამ მდგომარეობიდან გამოსავალს, ეძებს მაგარ, თავის მოვალეობის შემსრულებელ ხელისუფლებას, რომელიც შეებრძოლება უპატრონობას და დემოკრატიის მიერ დატოვებულ ცარიელ ადგილს დაეპატრონება. ხალხს ესაჭიროება წინამძღოლი მოსაქმე და არა მოლაყბე და დამბლა დაცემული.

საკვირველია, როგორ ერთი და იგივე მოვლენა მეორდება სხვადასხვა ქვეყანაში და გარემოებაში. რუსეთში მოლაყბე და უმოქმედო დემოკრატიულმა მთავრობამ დაბადა ბოლშევიზმის ტრიუმფი; კერენშჩინა დაბოლოვდა ლენინიზმით. იტალიაში უსაქმო ლიბერალურ დემოკრატიულ მთავრობამ გაზარდა ფაშიზმი და მის მიერ დალეწილი მოედანი კლთაში ჩაუგორა. გერმანიაში, მიულერის და შემდეგ ბრიუნინგის ერთი ადგილის ტკეპნა. მთავრობის ცარიელ სალაპარაკო აპარატათ გადაქცევა გახდა დასაბამი გაძლიერების ორი ერთიმეორის მოპირდაპირე რეაქციის—ბოლშევიზმის და ჰიტლერიზმის. ეს ორი ანარქიული ძალა დაეპატრონა ქუჩას, გამართეს დაუსრულებელი სამოქალაქო ომი პატარა მასშტაბით, ერთი მეორის ხოცვა, სროლა, თავსდასხმა. დრუჟინების შედგენა, შეიარაღება—ერთი სიტყვით უპატრონო ქვეყანაში ძაღლები აუეფდა. განა ცხადი არ იყო, რომ ამ ორ მოქიშპეთა შორის უნდა გამარჯვა ერთ ერთს, ვინ ვის მოასწრებდა. მოასწრო ჰიტლერმა და უმასპინძლდება ყველა თავის პოლიტიკურ მოპირდაპირეთ სწორეთ ისე, როგორც გაუმასპინძლდება გამარჯვებული კომუნისტები და როგორც ეს 15 წელია უმასპინძლდება მოსკოვის კომუნიზმი სოციალისტებს, დემოკრატებს—ყველა არა ბოლშევიკურ ელემენტებს.

და როცა ამ ორ დამანგრეველ ძალთა შორის სოც. ინტერნაციონალის დღევანდელი მეთაურნი ერთი-ერთს ეკედლებიან და მას კიდევაც ამხანაგობას სთხოვენ, რას ნიშნავს ეს? ნიშნავს ეს უბრალო გაუგებრობას, უმწეობას თუ პოლიტიკური ასპარეზის დაცლას და მის ბოლშევიკებისათვის ჩაბარებას. შეიძლება აქაც მეორდება პარტიულ ასპარეზზე ის მოვლენა, რაც განმეორდა სახელმწიფო ასპარეზზე—გასვლა ბრძოლის მოედნიდან, დაწევა საკუთარი დროშის, მეთოდის და გზა-კვალის და ასე მიტოვებული კოშკის ეშმაკებით დაპატრონება. მაგრამ მოხდა საოცარი ამბავი. იმ დროს როცა ინტერნაციონალის ბიურო ამ ეშმაკებს ეპატიჟებოდა საამხანაგოთ, მისი ერთი უდიდესი სექცია, გერმანიის სოც.-დემოკრატია, ბოლშევიკებთან კი არა მათ მომპატიჟებლებთან სწყვეტდა თურმე კავშირს. ე. ი. ბიურო ისე გატაცებულა ბაუერიზმით, რომ ვერც კი შეუტყვია თავისივე შინაური ამბავი, თავისივე პარტიის მდგომარეობა და ვითარება და სილაზე კოშკის აგებას განაგრძობდა. ამას მიუმატეთ ისიც, რომ ბოლშევიკებთან ერთ ფრონტზე უარი სთქვეს წინეთ და ახლაც სოც. პარტიებმა ინგლისში, ბელგიაში, შვეიცარიაში და სხვაგან და დაინახავთ როგორ მოწყვეტილა სინამდვილისაგან ინტერნაციონალის დღევანდელი ხელმძღვანელნი.

მაგრამ ესენი მაინც იარაღს არ ყრიან, მოსკოვს მაინც მიმართავენ, თუმცა მოსკოვი მათ ხმას არ სცემს. მოსკოვი სწორათ სვამს საკითხს, აიღეთ ხელი თავის თავზე და მიგიღებთო. ციურიხი კი ამას უპასუხებს ფანტაზიით—შენც იყავი, მეც ვიქნები, შევიყაროთო. წყალის და ცეცხლის შეყრა მათ უგნებლათ ჯერ არ მომხდარა და ვერც მოხდება. მეთოდი ბოლშევიზმის სწორია—გამოაცალოს მუშები სოციალიზმს; სოციალიზმის მეთოდი არ არის სწორი, როცა ამითვე არ უპასუხებს მას.

ჩვენი მიზანი უნდა იყოს მომხრობა არა მოსკოვის ტირანების, არამედ გზადაბნეული მუშების. ამ ხაზს ნაყოფიერათ მისდევენ სოც. პარტიები ევროპაში. ყოველგან კომუნისტური ორგანიზაციები სულს ლაფავენ და მათი მთელი ძალა იხატება სხვების და საფრთხობ უზომო ხმაურობაში, მოსკოვის ხაზინის წყალობით. მათი წონა და რეალური ძალა ყოველგან მინიმალურია. მაგრამ ამას სრულიად არ უწევენ ანგარიშს ბოლშევიზანები და ერთხელ, ვენის ინტერნაციონალის დროიდან, არჩეებულ ბოლშევიზანურ აზროვნებას არ ეყრებიან და განაგრძობენ მოსკოვის წინაშე თაყვანისცემას—მობრძანდით. ბატონო. გვიკადრეთო! რას ფიქრობენ? ფიქრობენ რომ ეს მათი დაკავშირება უნდა მოხდეს უჩვენოთ, ჩვენი პოლიტიკური და ნაციონალური მდგომარეობის უცვლელათ, ჩვენი მოსკოვის ტირანიაში ჩატოვებით და მხოლოდ თავისი ევროპიული საჭიროების დასაკმაყოფილებლათ, თუ საერთო ფრონტში საბჭოთა სოციალისტური პარტიებიც უნდა შევიდენ და მაშასადამე მოსკოვმა უარი უნდა თქვას ტირანიაზე და იმპერიალიზმზე, უნდა მიანიჭოს ჩაგრულ ერთ და ხალხთ თავისუფლება. საკმარისია სოციალისტურ და დემოკრატიულ პარტიებს მიეცეს თავისუფლება ორგანიზაციის და ბრძოლის, რომ საბჭოთა მთელი ეს ხუხულა თავდაყირა გადატრიალდეს, ნაციონალურ რესპუბლიკებმა თავისი ნაციონალური მთავრობა შეადგინონ და თავისი სუვერენობა გამოაცხადონ. მაშასადამე, საერთო პოლიტიკური თავისუფლება ის მინიმუმია, რომელზედაც ვერც ერთი სოც. პარტია საბჭოთა კავშირისა ხელს ვერ აიღებს როგორც მიუცილებელ პირობაზე მოსკოვთან ერთი ფრონტის შედგენისა. რასაკვირველია, ჩვენ ეს მიგვაჩნია მორიგ ილიუზიათ. ბოლშევიზანების მეტათ მავნე ფანტაზიათ და თუ მაინც ისინი ამ მხრით მუშაობას განაგრძობენ, პირველ ყოვლისა პასუხი უნდა გასცენ ჩვენ მიერ წამოყენებულ პირობებს და დარწმუნდენ მათ აუცილებლობაში.

ყოველგან სადაც კი ბურჟუაზიული დემოკრატია გაკოტრდა, მისი მემკვიდრე გახდა არა სოციალისტური დემოკრატია, არამედ ბოლშევიზმი და ფაშიზმი. სოციალისტური ინტერნაციონალის გადაბმა ბოლშევიზმთან ნიშნავს ცოცხალის კვდარზე აკიდვას და მისი გათხრილი სამარისაკენ გაქანებას. მისი სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვენ, პირიქით, შეინარჩუნოს თავისი დამოუკიდებლობა, თავისი მსოფლმხედველობა და ტაქტიკა და დასძლიოს ერთ და იმავე დროს ბოლშევიზმი და ფაშიზმი.

ბოლშევიზანობა საჯაროთ დამარცხდა, დროა რის ის ჩაბარდეს ერთხელ და სამუდამოთ არხივს.

ბოლშევიზმის დამხობა

კარლ კაუცკისა

რედაქციისაგან. ეს არის უკანასკნელი თავი კ. კაუცკის წერილისა «საბჭოთა რუსეთზე დისკუსიისათვის», რომელიც მოთავსებული იყო ავსტრიის სოც. დემოკრატიის თეორიულ ჟურნალ «დერ კამპფ»-ის თებერვლის ნომერში. კამპფის რედაქციამ, რომელმიაც სხვათა შორის დრ. ადლერიც შედის, გაუკეთა წერილს შენიშვნა, სადა ნათქვამია რომ «ჩვენი პატივცემული მასწავლებლის კარლ კაუცკის ამ წერილში გამოთქმული ზოგიერთი აზრები, განსაკუთრებით საბჭოთა რუსეთის შესახებ, სასტიკ წინააღმდეგობაშია როგორც «კამპფ»-ის რედაქციის, აგრეთვე ავსტრიის სოც.-დემ. მ. პარტიის» შეხედულებებთან.

«ბრძოლის ხმის» შემდეგ ნომერში ჩვენ მოვიყვანთ მოკლეთ შინაარს იმ ფრიად საინტერესო და დამახასიათებელ მიწერ-მოწერისას დრ. ადლერსა და კ. კაუცკის შორის, რომელიც წინ უძღოდა ამ უკანასკნელის ზემოთ აღნიშნულ წერილის გამოქვეყნებას.

მე მოველი, რომ მალე საყოველთაოთ აშკარა გახდება, რომ ბოლშევიკების ცდა თანამედროვე რუსეთის დიქტატურისა და ტერორის მეთოდებით სოციალისტურ საზოგადოებათ გადაქცევისა დამარცხდა. მაგრამ რუსეთში სოციალისტური აღმშენებლობის დამარცხება არ ნიშნავს ბოლშევიკური რეჟიმის დამხობას. ერთი და მეორე არ არიან განუყრელად დაკავშირებულნი. პირიქით, ისინი ძირიანათ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. იგივე ჩამორჩენილობა რუსეთისა, რომელიც იქ სოციალიზმს ეხლახან შეუძლებლად ხდის, ხელს უწყობს დესპოტიზმის შენახვას, რახან ეს უკანასკნელი ერთხელ დამკვიდრებულა.

ამგვარად საბჭოთა დიქტატურას შეუძლია კიდევ ხანგრძლივათ გაათრიოს თავისი არსებობა მას შემდეგაც კი, როცა მთელს ქვეყანას დიდი ხნიდან შეგნებული ექნება, რომ ამ დიქტატურისათვის სოციალიზმი არის არა ნამდვილი შინაარსი, არამედ მხოლოდ მისი საარსებო ტყუილი, რომლითაც ის თავისთავს და სხვებს კვებავს. ბოლშევიკების ბატონობა შეიძლება კიდევ დიდხანს გაგრძელდეს. მაგრამ ის უფრო და უფრო დაჰკარგავს უნარს გაუძლოს რაიმე მნიშვნელოვან გამოცდას, რომელიც მის ძალთა დაჭიმვას მოითხოვს. ასეთ გამოცდამ ის შეიძლება ერთი ღამის განმავლობაში გადაიტანოს. ჩვენ მუდამ მზათ უნდა ვიყოთ სიურპრიზებისათვის რუსეთში.

ასეთი სიურპრიზების ეშინია ოტო ბაუერს, თუ მათ დიქტატურის დამხობა მოჰყვა. ის ფიქრობს, რომ «წითელი დიქტატურის შეცვლა შეუძლია მხოლოდ თეთრ დიქტატურას».

ეს დღეს ფართეთ გავრცელებული შეხედულებაა, მე კი არ შემიძლია გავიზიარო ის.

რომ დემოკრატია გარდაუვალია, ამას ბაუერიც სცნობს, მაგრამ ის იმედოვნებს, რომ დემოკრატია მოვა, როგორც კი დიქტატურა შესძლებს კეთილდღეობის რეჟიმის შექმნას. დემოკრატიის ამ მშვიდობიანი გზით მოვლინებას მეც სულითა და გულით ვისურვებ. მაგრამ აქაც მე თავი იმათ რიცხვს უნდა მივაკუთვნო, ვისაც რწმენა აკლია. მე ვშიშობ რომ ჩემი მეგობარი ბაუერი ამ შემთხვევაში ცხენს კუდით ხედნის. ის იმედოვნებს, რომ კეთილდღეობა თავისუფლებას მოიტანს. მე კი მწამს, რომ, სახამ თავისუფლება არ არის, შესაძლებელია არა კეთილდღეობისაკენ აღსვლა, არამედ მხოლოდ მწვავე სიღატაკის დაშვება.

როგორც ისტორიაში განვლილ ყოველივე აბსოლიუტიზმს, აგრეთვე რუსეთისასაც შეეძლება მასებს მოძრაობის თავისუფლება მიანიჭოს მხოლოდ გარდაუვალ სახალხო მოძრაობის ზეგავლენის ქვეშ.

ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ, უნდა შევნიშნო უწინარეს ყოვლისა, რომ მე არ ვქადაგებ კრემლის მპყრობელთა წინააღმდეგ აჯანყების მოწყობას და რომ გადაჭრით წინააღმდეგი ვარ უცხოეთის ინტერვენციისა. უკანასკნელს მხოლოდ უბედურების მოტანა შეუძლია, ხოლო მოწყობილი აჯანყებები ისეთი საშინელი სახელმწიფო აპარატის წინააღმდეგ, როგორიც ხელთ უპყრია დღევანდელ რუსეთს, წინასწარ განწირულია. თუ ეს აპარატი გაბატონებულ ფენის შინაური განხეთქილებით არ დაინგრა, მისი დღეების შემოკლება შეუძლებელია სხვა საშუალებით, თუ არ სტიქიური, გარდაუვალი სახალხო მოძრაობით.

მაშასადამე ჩვენთვის კითხვა იმაში კი არ არის—წავაქეზოთ რუსის სოციალდემოკრატები აჯანყებები მოაწყონ, თუ არა? არამედ კითხვა შემდეგშია: როგორ უნდა მოვიქცეთ ჩვენ, თუ ჩვენი შემწეობის გარეშე, სახელმწიფო აპარატის და მისი მეურნეობის სასოწარკვეთილ მდგომარეობის წყალობით გაჩაღდა ისეთი მძლავრი მასიური მოძრაობა, რომელიც ემუქრება კომუნისტური პარტიის ბატონობას? აუცილებელია ამ შემთხვევაში, რომ ამგვარმა აჯანყებამ თეთრი დიქტატურა მოიტანოს და რომ ამ უკანასკნელის ასაცილებლათ სოციალისტურმა ინტერნაციონალმა მოახდინოს ყველა მის განკარგულებაში მყოფ ძალების მობილიზაცია?

კრემლის დიქტატორებს ეს, რა თქმა უნდა, ბევრს არაფერს უშველიდა. რევოლიუციათ ქცეული სახალხო მოძრაობანი ისეთი ძლიერების არიან, რომ უცხოეთის პარტიები და უცხოეთში მცხოვრები ემიგრანტები მათ წინაშე არაფერს ნიშნავენ. ყოველ შემთხვევაში ეს გარემოება ჩვენ არ გვანთავისუფლებს ჩვენი მოვალეობისაგან მსოფლიო პროლეტარების წინაშე, რომ ასეთ შემთხვევაში აშკარად გავარკვიოთ ჩვენი პოზიცია მოძრაობის სასარგებლოთ თუ მის წინააღმდეგ.

ხოლო უწინარეს ყოვლისა ჩვენ უნდა ვიკითხოთ: რა არის «თეთრი დიქტატურა». თეთრგვარდიელებათ ნათლავდენ ცარიზმის და მსხვილ მიწათმფლობელთ ბატონობის აღდგენის მომხრეებს. მათ მნიშვნელობა ჰქონდათ რუსეთის სამოქალაქო ომებში 1918 დან 1920 წლამდე. დღეს ამ ელემენტებისაგან მხოლოდ განცალკევებული ნამსხვრევები დარჩა. ამათ შეუძლიათ შემთხვევისდაგვარათ ხმაურობა ატეხონ ევროპაში ან ჩინეთში. რუსის ხალხში კი, რუს მუშებში და გლეხებში მათ ყოველივე გავლენა დაჰკარგეს. ამ მხრით რევოლიუციამ რადიკალური შედეგი მოიტანა.

ძნელი გამოსაცნობია თუ რა ფორმებს მიიღებს მუშათა და გლეხთა მოძრაობანი დღევანდელ რუსეთში. იქ ჩვენ ხომ საქმე გვაქვს სრულიად არანორმალურ სახელმწიფოსთან. შესაძლებელია კომუნისტური პარტია გაითიშოს. წითელი არმიის ნაწილები მორჩილებიდან გამოვიდენ. შიმშილმა სასოწარკვეთილების გრძნობის აფეთქებები გამოიწვიოს, ბიუროკრატიული აპარატი დადგეს, თვით დიქტატურა შიშმა აიტანოს, მან ნაწილობრივი დათმობები გააკეთოს, ტერორისტული დიქტატურის კედლები გაიბზაროს, რაიცა დაბოლოს მისი სრული წალეკით დასრულდება. ყველაფერი ეს და კიდევ მრავალი სხვა შეიძლება მოხდეს. მაგრამ რა საბუთი გვაქვს ჩვენ მოველოდეთ, რომ ამ ამბებში ცარიზმის, მსხვილი მიწათმფლობელების და კაპიტალის წარმომადგენლნი ისეთ გადამჭრელ როლს მოიპოვებენ, რომ შესძლებენ მშრომელ მასებს ახალი დიქტატურის უღელი დაადგან კისერზე? რის წინააღმდეგ ამხედრდებიან გლეხები და მუშები ბოლშევიზმის დამსხვრევის შემთხვევაში? სახელმწიფო მეურნეობის? კერძო მეურნეობას მხოლოდ იმ შემთხვევებში მიანიჭებენ უპირატესობას მუშები, სადაც ის მუშას ცხოვრების და შრომის უკეთეს პირობებს შეუქმნის ვინემ სახელმწიფო მეურნეობა. და გლეხებსაც არაფერი ექნებათ სახელმწიფო ინდუსტრიის საწინააღმდეგო, თუ ამ უკანასკნელმა მას კარგი და იაფი საქონელი მიაწოდა. როცა სახელმწიფოს ძალდატანება მოისპობა, კოლხოზებს გლეხები უმეტეს შემთხვევაში ალბათ ზურგს შეაქცევენ, მაგრამ ამას ისინი მხოლოდ მაშინ იზამენ, როცა საჭირო საწარმოო საშუალებებს მოიპოვებენ. ჯერ კოლხოზები ალბათ შეწყვეტენ სახელმწიფოსადმი ვალდებულებათა აღსრულებას. იქნებ, თავისუფლების პირობებში, ბევრ მათგანმა შეინარჩუნონ თავისი არსებობა და შეადგინონ ახალი, სოციალიზმის მოსამზადებელი საწარმოო ფორმა.

მუშები და გლეხები დაამსხვრევენ უპირველეს ყოვლისა იმას, რაც მათ ყველაზე უფრო სჩაგრავდა ეკონომიურათ და პოლიტიკურათ, ეს არის დიქტატურის სახელმწიფო აპარატი. ის უკვე მაშინ იქნება შერყეული, როცა სახელმწიფო ფინანსები აირევა, სამრეწველო დაწესებულებები და კოლხოზები დეფიციტით იმუშავებენ და სახელმწიფო კასას ვეღარ ჩააბარებენ შემოსავალის ნაშთს. როცა გეპეუს მოსამსახურეებს, მოხელეთა ვეებერთელა აპარატს და წითელ არმიას საკმაო ფულს ვეღარ მისცემენ, მათი დისციპლინა შესუსტდება. ისინი უფრო და უფრო ნაკლებ საიმედო გახდებიან, მათ უფრო და უფრო ნაკლები შეძლება და სურვილი ექნებათ წინააღმდეგობა გაუწიონ მძლავრ, ფართოთ მოდებულ სახალხო მოძრაობას. როცა ამის მიზეზით დიქტატორების წრეში შიშიანობა და უთანხმოება ჩამოვარდება, მაშინ დადგება დიქტატურის აღსასრული.

პოლიტიკურ პოლიციის, ბიუროკრატიის და ჯარის დაშლა—აი რა იქნება პირველი შედეგები წითელი დიქტატურის დაძლევისა. საიდან უნდა გაჩნდენ მაშინ ის ელემენტები, რომლებმაც ახალი თეთრი დიქტატურა არამც თუ შესაძლებელი, არამედ აუცილებელიც უნდა გახადონ?

ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ ბოლშევიზმის დაძლევა დემოკრატიული იდილიის ფორმას მიიღებს. ეს სრულიადაც არ არის მოსალოდნელი. თუთხმეტი წლის განუწყვეტელმა და უფრო და უფრო მატებულმა გაჭირებამ და ჩაგვრამ ხალხის გულში დააგროვა რისხვა, რომლის სიმძლავრეს უკვე წლების განმავლობაში მოწმობს დაუსრულებელი ჟლეტა ბოლშევიკების წარმომადგენელთა სოფლებში. ამავე დროს, თავისუფალ ორგანიზაციების და თვითმართველობის გამოცდილებათა და ჩვეულებათა ნატამალიც კი არ მოიპოება ხალხში. როცა ასეთ პირობებში გლეხთა და მუშათა აჯანყებები დაიწყება, მათ უპირველეს ყოვლისა უნდა გამოიწვიონ დიქტატურის სრული წინააღმდეგობა: ა ნ ა რ ქ ი ა, ქაოსი. აქედან უნდა შეიქმნენ საბოლოოთ ახალი პოლიტიკური და სოციალური ფორმები, რომელთ ნათლათ გამოცნობას აქედანვე ჩვენ ვერ შევძლებთ. რუსეთის დღევანდელ სახელმწიფოში ხომ ყველაფერი არანორმალურია და ამიტომ გარდაქმნამაც სრულიად უჩვეულო ფორმები უნდა მიიღოს. მაგრამ სადაც კი გლეხებს და მუშებს საშუალება აქვთ თვით მოაწყონ თავისი ბედი, ისინი მიესწრაფვიან მუდამ ორგანიზაციის დემოკრატიულ ფორმისაკენ... რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ რუსი მუშები და გლეხები სხვანაირად მოიქცევიან, რაკი ისინი დაამხობენ იმ ერთად ერთ მპყრობელს, რომელიც დღეს მათ ბრძანებლობს: ბოლშევიკურ დიქტატურას? ან და სად იქნება ის ძალა, რომელიც მათ ახალ დიქტატურას მათი სურვილის წინააღმდეგ თავზე მოახვევს? ამგვარი შიში წარმოსდგება არა რუსეთის დღევანდელ სოციალურ სტრუქტურის ანალიზიდან, არამედ ისტორიულ ანალოგიებიდან, წარსული გამოცდილებიდან, რომლებიც სრულიად განსხვავებულ პირობებში სწარმოებდენ.

სოციალისტურ მუშათა ინტერნაციონალს არავითარი საბუთი და უფლება არ ექნებოდა რუსის ხალხის ყოველივე ადგომა არსებულ დიქტატურის წინააღმდეგ წინასწარ რეაქციონურ დაწყებულებათ მოენათლა. გლეხების დემოკრატიულ მოძრაობას უნდა მიეკუთვნოს ჩვენი სრული თანაგრძნობა. თეთრგვარდიელ ელემენტების მიერ რუსეთში გავლენის მოპოვების ყოველივე ცდას ერთსულოვნათ წინააღუდგებიან ყველა სოციალისტები მიმართულების განურჩევლათ. მაგრამ მეტისმეტად სახიფათო იქნებოდა, რომ ჩვენ ყოველივე სახალხო მოძრაობა, რომელიც კრემლის დიქტატორებს შიშში ჩააგდებს, მხოლოდ ამიტომ განურჩევლათ და გაურკვევლათ აუცილებლათ თეთრგვარდიელთა მოძრაობათ დაგვესახა და დაგვეგმო.

რაც ჩვენს უპირველეს მოვალეობას შეადგენს, ესაა საფუძვლიანად ვადევნოთ თვალყური რუსეთის ამბებს, რომ არც ერთი მხრიდან—არც მარჯვნიდან და არც მარცხნიდან—თეთრი შავად არ მოგვაჩვენონ. რუსეთის პირობების შესწავლას სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დღისდღეობით. ამ პირობებს გარდამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთელი ქვეყნის პროლეტარულ მოძრაობისათვის.

ამ შეფასების უაღრეს მნიშვნელობაში მე სავსებით ვეთანხმები ოტო ბაუერს, მაგრამ სრულიად არ ვეთანხმები თვით შეფასებაში. ის ფიქრობს, რომ საბჭოთა მთავრობის დამხობა, რა სახისაც არ უნდა იყოს ის, მოასწავებს რეაქციას მთელი ევროპისათვის. მე კი ამ დამხობისაგან სრულიად წინააღმდეგს მოველი.

ბოლშევიზმის ძველი იდეალისტები კრემლის დიქტატორთა შორის ან დაიხოცნენ ანდა გაძევებული არიან. დღევანდელ მმართველებს კი, რომელნიც ერთ დროს პროლეტარულ კლასიურ ბრძოლაში

მონაწილეობდენ როგორც სოციალდემოკრატიის ნაწილი. ამ ბრძოლიდან შეუნარჩუნებიათ მხოლოდ პროლეტარიატის გამოყენება თავისი მიზნებისათვის. ხოლო ეს მიზნები პრაქტიკულად მიმართულია არა მშრომელთა მასების განთავისუფლებისაკენ, არამედ მათი საკუთარი ყოვლის შემძლებლობის შენარჩუნებისაკენ. პროლეტარიატი მათთვის ზარბაზნების მასალათ გამხდარა და ისიც არა მარტო რუსეთის, არამედ მთელი ქვეყნის პროლეტარიატი. ყველა ქვეყნების პროლეტარები უნდა შეიქმნენ კრემლის მპყრობელთა მცველი ჯარი, რომელიც მხოლოდ მათ ბრძანებას უნდა ემორჩილებოდეს. ეს არის მესამე ინტერნაციონალის ამოცანა, ეს არის პრაქტიკული მემკვიდრეობა მსოფლიო რევოლიუციის ილიუზიისა. ეს უკანასკნელი ხომ თვით მესამე ინტერნაციონალის ხელმძღვანელებსაც აღარ სწამთ. მაგრამ რაც უფრო ღრმაა გაჭირება მათ საკუთარ ქვეყანაში, მით უფრო მეტად არიან ისინი დაინტერესებული, რომ რუსეთის გარეშე პროლეტარიატი უაზრო ავანტიურებს აჰყვეს. რაც უფრო დიდი მარცხით დასრულდება ეს ავანტიურები, რაც უფრო დაზარალდება პროლეტარიატი, მით ნაკლები გამოჩნდება ამასან შედარებით რუსეთის სიდუხჭირე.

მოსკოველ დიქტატორების მისწრაფებას დააწესონ საკუთარი დიქტატურა მსოფლიო პროლეტარიატზე და ჩაითრიონ ის ავანტიურაში, უკანასკნელის შედეგების განურჩევლად, ენერგიულ წინაალმდეგობას უწევს სოციალდემოკრატია. და ამიტომაა რომ ამ უკანასკნელს მიიჩნევენ ბოლშევიკები უსაშიშროეს მტრათ. არა უცხოეთის კაპიტალისტების, არამედ სოციალდემოკრატიულ პარტიაში და დამოუკიდებელ სინდიკატებში შეკავშირებულ პროლეტარების წინააღმდეგაა მიმართული კომუნისტების უდიდესი სიბრაზე.

კაპიტალისტებთან და კაპიტალისტურ მთავრობებთან საბჭოთა რუსეთის მპყრობელნი ეწყობიან და საქმეებსაც აკეთებენ მათთან. უკანასკნელთათვის არავითარ დაბრკოლებას არ წარმოადგენს დიქტატურის მეთოდები, ყოვლის შემძლე პოლიტიკური პოლიცია, მასების გალატაკება «პირვანდელ დაგროვების» მიზნით. ისინი ხომ სიამოვნებით შემოიღებდენ ამგვარსავე რეჟიმს საკუთარ ქვეყნებში. და უკვე ბისმარკმა იცოდა, რომ ამომავალი პროლეტარიატის ასალაგმავათ საუკეთესო მეთოდს შეადგენს მისი წაქეზება სახელმწიფო ძალაუფლების წინაალმდეგ აჯანყებისათვის, რათა ამ ძალას შემთხვევა მიეცეს მუშათა კლასი სისხლის მორევში ჩაახრჩოს. და ის გარემოება, რომ კომუნისტები ამგვარ სისხლის გაღებას უწყობენ დროგამოშვებით პროლეტარიატს, მომეტებულათ უბრიყვეს პირობებში, მათ მეტად სასარგებლოთ ხდის ყველა კაპიტალისტურ დერჟიმოროდას თვალში.

პროლეტარული დემოკრატია არის ის ერთად ერთი დაბრკოლება, რომელიც წინ ელობება რუს დიქტატორთა მისწრაფებას გამოიყენონ მშრომელი ხალხი როგორც უსიტყვო მასალა თავისი ბატონობის მიზნების გასახორციელებლათ. ჩვენი პარტია მათ მით უფრო საძულველათ ეჩვენებათ, რომ ბურჟუაზიული დემოკრატიული პარტიები გადაგვარებულნი არიან, ასე რომ სოციალდემოკრატია ხდება ერთად ერთი ძლიერი და საიმედო დასაყრდენი დემოკრატიისა.

არა კაპიტალიზმის, არამედ დემოკრატიის მოსპობა შეადგენს მთავარ ამოცანას, რომელსაც ყველა ქვეყნების დღევანდელი კომუნისტები ისახავენ.

თავისი პოლიტიკით ისინი ყველგან ფეხდაფეხ მისდევენ რეაქციას. კაპიტალისტებს უკვე აღარ ეშინიათ საბჭოთა რუსეთის. ისინი მას შველიან. მთელი ხუთწლიანი გეგმა აგებული იყო იმ მოლოდინზე, რომ მსოფლიოს კაპიტალისტები ერთი მეორეს შეეცილებოდენ საბჭოთა რუსეთისათვის გაუმჯობესებულ საწარმოო საშუალებათა მისაწოდებლათ, და ეს მოლოდინი გამართლდა კიდეც. და კაპიტალისტებს პოლიტიკურათაც აღარ ეშინიათ კომუნისტების, ისე როგორც არ ეშინიათ მათი ეკონომიურათ. კომუნისტებს მცირე სამსახური არ მიუძღვისთ მუსოლინის გაბატონებაში და ისინი თითქმის მზათ იყვენ იგივე სამსახური გაეწიათ ჰიტლერისათვის *). საფრანგეთის და სხვა ქვეყნების რეაქციონერები მათ არა ერთსა და ორ საპარლამენტო მანდატს უნდა უმადლოდენ.

მსოფლიო ომის შემდეგ მათ ყველგან უდიდესათ შეარყიეს პროლეტარიატის საქმე მისი გათიშვით.

უფრო და უფრო ხმამაღლა გაისმის ყიჟინა პროლეტარიატის ერთი ფრონტის აღდგენის სასარგებლოთ, რომელიც მსოფლიო ომამდე, გარდა რუსეთისა, თითქმის ყველა ევროპიულ ქვეყნებში არსებობდა და ხელს უწყობდა პროლეტარულ პარტიების ძლევამოსილ წინსვლას. პროლეტარიატის გათიშვის შედეგი იყო, რომ 1918 და 19 წლების რევოლიუციებში დაახლოებითაც ვერ იქნა მიღწეული სავსებით ის წარმატება მშრომელ კლასებისათვის, რომლის მიღწევა მაშინ შესაძლებელი იყო. დღეს რევოლიუციის ყველა მონაპოვართ უდიდესი საშიშროება მოელის, თუ ჩვენ ერთიანი ფრონტი ვერ აღვადგინეთ. ის შეადგენს პროლეტარულ კლასიურ ბრძოლის გარდაუვალ საჭიროებას. ამაში ყველანი თანახმანი ვართ. მაგრამ მე ისე ოპტიმისტურათ არა ვარ განწყობილი, როგორც ოტო ბაუერი და მასთან ერთად თითქმის მთელი კონგრესი **), რომელიც მქუხარე ტაშით შეხვდა მის განცხადებას, თითქოს სოციალისტურ მუშათა ინტერნაციონალსა და კომინტერნს შორის მოლაპარაკების გზით შეიძლებოდეს ერთიან ფრონტის დამყარება. და რომ მან საბჭოთა დიქტატურას მსოფლიო პროლეტარიატის მოკავშირეობა შესთავაზოს. ნუ თუ მენშევიკები კვლავ ციხეებში გამომწყვდეული უნდა იყვნენ?

მე სრულიადაც არ ვარ იმის წინააღმდეგი, რომ მოხდენილ იქნას «საპატიო დაახლოების» ცდა. მე არას შემთხვევაში არ მინდა პროლეტარიატის გაერთიანების წინააღმდეგი გამოვიდე. მაგრამ მე წინასწარვე ვხედავ, რომ აქეთკენ მიმართულ ცდიდან არაფერი სასიხარულო არ გამოვა.

ამბობენ აგრეთვე: ჩვენ სრულ წინააღმდეგობაში ვართ კომუნისტურ პარტიებთან რუსეთის გარეშე, მაგრამ არა რუსეთის დიქტატურასან. ნამდვილათ კი მართალია წინააღმდეგი: კომუნისტურ პარტიებთან, რომლებიც რუსეთის დღევანდელ მპყრობელთაგან დამოკიდებულებას თავს დააღწევენ, შესაძლებელია ერთად სვლა განსაზღვრულ საერთო მიზნების მისაღწევათ. ეს უკვე დაატკიცა რამოდენიმე გამოცდილებამ. პირიქით, ის კომუნისტები, რომლებსაც მოსკოვიდან უწევენ ხელმძღვანელობას, ჩვენი პარტიისადმი შეურიგებელი მტრობით არიან შეპყრობილნი, არა მათი კომუნისტური მიზნების გამო, რომლებიც მათ კომუნისტურ ოპოზიციასან საერთო აქვთ, არამედ იმიტომ რომ მოსკოველი მბრძანებლები საჭიროებენ არა თავისუფლად მოაზროვნე თანამებრძოლთ, არამედ მორჩილ კრეატურებს.

მოსკოვში ზის მტერი, რომელიც ყოვლივე მთლიან პროლეტარულ ფრონტს შეუძლებლად ქმნის. წინაალმდეგობა მოსკოვსა და სოციალისტურ მუშათა ინტერნაციონალს შორის გაუგებრობაზე აგებული როდი არის, ის ღრმად ჩაქსოვილია თვით საქმის არსებაში და ის ისევე გარდაუვალია, როგორც წინააღმდეგობა დიქტატურასა და დემოკრატიას შორის.

მთლიან პროლეტარულ ფრონტის აღდგენა შეუძლებელია მანამ, სანამ ჩვენი პარტია დემოკრატიის ნიადაგზე დგას, ხოლო რუსეთს მართავს დიქტატურა, რომელიც მონდომებულია თავის ბრძანებლობის ქვეშ დააყენოს მთელი მსოფლიო პროლეტარიატი.

მთლიანი ფრონტი თავისთავად აღსდგება, როგორც კი ამ დიქტატურას ბოლო მოეღება, რადგან უიმისოთ კომუნისტური პარტიები სასიცოცხლო ძალას დაჰკარგავენ. ისინი სწრაფად დაიშლებიან, რახან მოსკოვიდან არც «ლოზუნგებს» და აღარც ფულს მიიღებენ და დადნება ის რკინისა და ოქროს ბეჭედი, რომელიც მათ ამაგრებს.

რუსეთში ბოლშევიკური დიქტატურის მოსპობა აღნიშნავს ხანას პროლეტარული დემოკრატიის ყველა დამოუკიდებელ ორგანიზაციების სწრაფი შედუღებისა, სწრაფი გაძლიერებისას, და ეს დემოკრატია თავისი წინსვლის ახალ ძლევამოსილ გზაზე შედგება.

რუსეთში დიქტატურის არა დამხობა, არამედ მისი შენახვა მოასწავებს უდიდეს საფრთხეს და ვნებას ჩვენი დროის პროლეტარული გამათავისუფლებელი ბრძოლისათვის.

ზემოთ განვითარებულ მოსაზრებებით მე არაფერი ახალი არ მითქვამს. უკვე 1918 წ. გამოვთქვი მე ეგევე აზრები. და ასევე მოიქცა ზოგიერთი გავლენიანი ავსტრიელი ამხანაგი...

ამ ჩემი რწმენის გამოთქმა ჩემს უწმინდეს მოვალეობათ მიმაჩნია სწორედ ეხლანდელ მდგომარეობაში, თუნდაც მქუხარე პროტესტების გამაწვევის საშიშროების ქვეშ.

*) მკითხველს გავახსენებთ, რომ წერილი დაწერილი იყო ჰიტლერის მოვლინებამდე გერმანიაში. მთარგმნელი.

**) ავსტრიის სოციალდემოკრატიის წლევანდელი კონგრესი. მთარგმნელი.

გ ე რ მ ა ნ ი ი ს ა მ ბ ე ბ ი

გერმანიის რეიხსტაგის უკანასკნელ არჩევნებში რასისტ-ფაშისტებს დიდი გამარჯვება ერგოთ. ჰიტლერ-ჰუგენბერგის მთავრობას რეიხსტაგში ყავს აბსოლიუტური უმრავლესობა, მაგრამ მან მისგან ოთხი წლის ვადით მაინც განსაკუთრებული უფლებები მოითხოვა და მიიღო ეს კიდევაც.

მთავრობაში შემავალ პარტიებს—ნაციონალ-სოციალისტებს და გერმანელ ნაციონალისტებს ერთად ხმების 52 პროც. აქვთ; მაგრამ გერმანიის დღევანდელ პოლიტიკურ და ეკონომიურ მეტათ მძიმე მდგომარეობაში ხომ ადვილი შესაძლებელია ოპოზიცია ძალზე გაძლიერდეს და რეაქციის დღევანდელი უმრავლესობა ხვალ უმცირესობათ გადაიქცეს. ჰიტლერსაც სწორედ ეს შესაძლებლობა უნდა აქედანვე თავიდან აიცილოს და საამისოთ ხელები თავისუფალი ქონდეს. ჰიტლერი ძალით დაეპატრონა საზოგადოებრივ აზრს და ცდილობს მას არსად არავითარი გასავალი არ მისცეს.

მთავრობა სასტიკ კონტროლს უწევს პრესას, სრულიად აღკვეთა ოპოზიციის ბეჭდვითი ორგანოები, აკრძალა კრებები, დაეპატრონა სხდომებს, თეატრებს, უმავთულო ტელეგრაფს. მთელი ადმინისტრაცია, პოლიცია და სასამართლო მის ხელშია. რეიხსტაგის წევრობიდან გამორიცხა კომუნისტი დეპუტატები. აუარებელი ხალხი დაატყვევა. აკრძალა რესპუბლიკანელთა სამხედრო ორგანიზაციები, იარაღი აჰყარა, როგორც ამ უკანასკნელთ, ისე კერძო პირთ. ეწევა სასტიკ ანტისემიტურ პროპაგანდას. დაითხოვა რეიხსტაგი განუსაზღვრელ დროთი: ეშინია ოპოზიციამ ხმა არ ამოიღოს და მთავრობა საჯაროთ არ გააკრიტიკოსო.

როგორ შეხვდენ მთავრობის ასეთ მოქმედებას სხვადასხვა პარტიები და დაჯგუფებანი?

მიუხედავათ ბევრი ტრაბახის და ლაყბობისა გერმანიის კომუნისტურ პარტიას არ მოუწყვია არც ქუჩის დემონსტრაციები და არც გაფიცვები. წინააღმდეგ, ირკვევა ეხლა, რომ, როგორც ეს ამ ათი წლის წინეთ მოხდა იტალიაში, თხელდება კომუნისტების რიგები და ესენი ფართე მასებით ფაშისტთა ბანაკში გადადიან.

ცენტრის პარტია, რომელსაც უმეტესად აინტერესებს რელიგიური საკითხი, ცდილობს ეხლა შექმნილ მდგომარეობას შეეგუოს, იწყებს მუცლით ხოხვას და მთავრობას განსაკუთრებულ უფლებებზედაც დასტურს აძლევს. სხვა მცირე დაჯგუფებანი ძალზე დაშინებული არიან და მთავრობის განკარგულებებს უხმოთ ასრულებენ და ემორჩილებიან.

გერმანიის სოციალდემოკრატიის წარმომადგენელს—ოტო ველს ახალი რეიხსტაგის პირველ სხდომაზე მთავრობისათვის განსაკუთრებული უფლებების მიცემის უარსაყოფათ უმთავრესათ ის მიზეზი მოყავდა, რომ დღეს სოციალდემოკრატიული პარტია დევნილიაო. არსებითად კი არ შეხებია არც არჩევნების დროს მთავრობის მიერ წარმოებულ ძალადობას და არც მის საერთო პოლიტიკას.

გერმანიის არჩევნების მეორე დღეს, 7 მარტს «სოციალისტური პრესის სამსახური» სწერდა: გერმანიის ახალმა მთავრობამ მიიღო მანდატი ხალხის დიდი უმრავლესობიდან. ამ უმრავლესობის განსაკუთრებული სულიერი განწყობილება კი იმის შედეგია, რომ ჩვენმა მოწინააღმდეგე სახელმწიფოებმა არ იცნეს ჩვენი კანონიერი მოთხოვნილებანი და არ მოგვანიჭეს თანაბარი უფლებებიო. ზომიერება და გონიერება საგარეო ფრონტზე, მაგრამ ასეთივე ზომიერება და გონიერება საშინაო პოლიტიკაშიცო, ამბობს დაბოლოს გაზეთი.

მკითხველს ალბათ გაუკვირდება, რომ სოციალდემოკრატიული გაზეთი მოელის «ზომიერებას და გონიერებას» გერმანიის დღევანდელ მთავრობიდან, რომელმაც აღკვეთა მთელი ოპოზიციონური პრესა, აღკრძალა ყოველგვარი კრებები და ძალით დაიკავა პარტიის და პროფესიონალური კავშირების შენობები. მაგრამ აქ გასაკვირი არაფერია, თუ გავიხსენებთ გერმანიის სოციალდემოკრატიის ტაქტიკას ამ უკანასკნელ ხანებში.

გასულ ივლისში პრუსიის უმაღლესმა კომისარმა—ფონ პაპენმა გადააყენა ბრაუნის და სევერინგის მთავრობა, ორმა თუ სამმა კაცმა დაატუსაღა ბერლინის პოლიციის პრეზიდენტი, მაგრამ ორივე ამ აქტს გერმანიის სოციალდემოკრატები სრულიათ პასიურათ შეხვდენ, უბრალო პროტესტი განაცხადეს და საქმის სასამართლოში გასაჩივრებით დაკმაყოფილდენ. ფონ პაპენის მთავრობას აქტიური წინა-

---

კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ა

(წერილი საქართველოდან)

პარტიასა და ხელისუფლებას შორის საზღვარი წაშლილია. ხელისუფლება პარტიის მანქანაა; იგი მუშაობს მისი ხელმძღვანელობისა და კონტროლის ქვეშ. მაგრამ, რადგან პარტია მოსკოვის ბრძანებას გვერდს ვერ აუვლის, ცხადია, ხელისუფლებაც ასეთივე კალაპოტშია ჩაჭედილი. დღეს ყველა ჭკუათამყოფელი ადამიანი აშკარად ხედავს, რომ საქართველოს «დამოუკიდებელი რესპუბლიკა»—ფიქციაა. რაიმე მნიშვნელოვანი საქმის დამოუკიდებლად გადაწყვეტა მას აღარ შეუძლია. თვით სამეურნეო და კულტურული დაწესებულებები მოსკოვის გარეშე ფეხს ვერ გადადგამს. ყველა ტრესტები, რომელთაც საქართველოს ბეჭედი კი აზის გეგმებს და საკონტროლო ციფრებს მოსკოვიდან ღებულობენ. მოსკოვი მიუთითებს საქართველოს, თუ რამდენი ვაზი, ჩაი, თამბაქო უნდა გააშენოს მან, იქიდანვე მოდის ბრძანება, თუ რამდენი მარგანეცი უნდა გაზიდოს საზღვარგარეთ, რამდენი სკოლა უნდა გახსნას და რა რაოდენობის მოწაფეები უნდა იქნას მიღებული. ერთი სიტყვით, იგი «გვპატრონობს» და «გვაცოცხლებს». ასეთ «მამაშვილობას» თავისებური დასაბუთებაც აქვს გამონახული: თითქოს საქართველოს არ გააჩნია საკუთარი ეკონ. დასაყრდენი და ამიტომ საჭიროა დახმარება. ლუნაჩარსკი, საქართველოს გასაბჭოების 10 წლის თავზე გამოსულ კრებულში—«საქართველოს 10 წელი»—ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მართალია საქართველოს დიდი კულტურული წარსული აქვს, მაგრამ მას საკუთარი ბიუჯეტის სიმცირის გამო არ შეუძლია გაშალოს თავისი სახელმწიფოებრივი ცხოვრება და ამიტომ ნურავის დარჩება საწყენათ, რომ რუსეთმა მას დახმარება გაუწიოს და საკუთარ ფეხზე დადგომის საშვალება მისცესო. და თურმე ეს იმიტომ, რომ საქართველომ რევოლიუციას მისცა ისეთი დიდი პიროვნებები, როგორიცაა სტალინი, ორჯონიკიძე, ენუქიძე და სხვ. აქედან ყველა წერაკითხვის მცოდნე ადამიანი აშკარად დაინახავს, რომ «დიდი პიროვნებების» საფარველით პატარა ლუნაჩარსკი პოპულიარიზაციას უშვრება თავის ველიკოროსულ შავ მიზნებს. ეს აშკარა პროვაკაციაა რუსეთის გაბატონებული ხალხის ასამხედრებლათ ქართველი ერის წინაალმდეგ.

როგორც ვთქვით, საქართველოს ხელისუფლებას დამოუკიდებელი ძალა და ფასი არასოდეს არ ქონია. ამისთვის იბრძოდენ ნეტარხსენებული უკლონისტები, მაგრამ ორჯონიკიძის ხელით ყველა იმათ ნიშადური ამოსცხეს. ქართული უკლონიზმის ბელადი მახარაძე დღეს მშვენივრად გრძნობს თავს, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მოაგონებენ განვლილ დღეებს. ისიც ყველაფერს გულგრილად იტანს, ოღონდ კეთილი ცხოვრება ნუ მოეშლება.

ხელისუფლების ძირითად აპარატებში გაბატონებულია რუსული ენა. ამას ყველა კარგათ ხედავს. მიმოწერა, სხდომები და საერთოდ აპარატის ყოველ გვარი საქმიანობა სწარმოებს უმთავრესად რუსულ ენაზე, თფილისში და საერთოდ საქართველოს თვალსაჩინო კუთხეებში მომუშავეთათვის რუსული ენის ცოდნა აუცილებელი პირობაა. «ოქტომბრის ენა» ყველამ კარგათ უნდა იცოდეს, თუ საქართველოში მუშაობა და ცხოვრება უნდა. ყოველგვარი დირექტივები და ინსტრუქციები რუსეთიდან მოდის, რის გაგების და პასუხის გაცემას რუსული ენა სჭირია. დაწესებულებებში მსახურებენ აუარებელი რუსები და სომხები. მაშასადამე, საჭიროა ისეთი ენის გამონახვა, რომელიც ამ ხალხისათვის მისაწვდომი და სასურველი იქნება. სხვათა შორის ქართული ენის საკითხში საშინელ ანტაგონიზმს აქვს ადგილი. ძველი ნაციონალიზმი ფრთებს ისხამს. ქართველი და სომეხი მუშა მოსამსახურენი ერთმანეთს დანასისხლათ უყურებენ. რუსი მოხელეები პირდაპირ ვერ იტანენ თუ კი ვინმეს ქართული მიმოწერა და ლაპარაკი შეენიშნეს მდგომარეობა იმდენად გამწვავებულია, რომ ქუჩაშიაც კი ყოველ ფეხის ნაბიჯზე საშინელ შემთხვევებს წააწყდებით ამ ნიადაგზე გინება, «მოთრეულო»-ს ძახილი, ცემა და ზოოლოგიური სიძულვილის მთელი საშინელება. განსაკუთრებით გამწვავებულია მდგომარეობა სომხებსა და ქართველებს შორის. თუ რომელიმე დაწესებულების სათავეში სომეხი მოექცა, შტატიც უმთავრესად მისი ეროვნების თანამშრომლებით უნდა შეივსოს. საილიუსტრაციოთ ერთ მაგალითს მოვიყვანთ: ტყავტრესტის სათავეში მოექცა სომეხი ტრდატიანი; დაიწყო შტატის «შერჩევა»: ეკონომიური სექციის გამგეთ მოიწვია—მარქარიანი, საფინანსო—ბეჟანიანი, სტანდარტის და ხარისხის—ლაზარიანი, შრომისა და კადრების—ალიხანიანი, ტეხნიკური ნაწილის—ოვანესიანი, №1 ფეხ. ფაბრის დირექტორათ—მამულიანი, № 2 ფაბრიკის—ოვსეპიანი, № 1 ტყავის ქარხნის—მირმაზანიანი, № 2 ქარხნისაც—სომეხი, სასწავ. კომბინატის გამგეთ—ესაიანი. ერთი სიტყვით, მთელი ტრესტი და მისი წარმოებები სომეხი თანამშრომლებით გაავსო. სხვათა შორის მის მოადგილეთაც—ბაბაიანია. მაგრამ როცა ამავე ტრესტის გამგეთ ვინმე გარდავა დაინიშნა, მანაც თავისი ქართული შტატის შევსებას მიჰყო ხელი, რაც ჯერ არ დაუსრულებია. აქედან ადვილი გასაგებია, თუ რა განწყობილება უნდა იყოს დასახელებულ ეროვნებათა წარმომადგენლებს შორის. რუსისთვის, გარდა თავისი ეროვნებისა, სომეხიც მისაღებია, რადგან მათთვის საერთო ენა გამონახულია. ჩვენ ასეთი სურათის მოწამენიც კი ვართ: იმავე ტყავტრესტის მუშათა კლუბში გაიმართა საღამო—კონცერტი (18 სეკ. 1932 წ.). როდესაც მომღერლები რუსულ და შემდეგ სომხურ ენაზე მღეროდენ—დარბაზში სრული სიმშვიდე იყო. მაგრამ, როდესაც სცენაზე გამოჩნდა ცნობილი მომღერალი ქალი მარო თარხნიშვილი და მშვენიერი ხმით ურმული შემოსძახა,—მსმენელთა ერთ ნაწილში წესიერება დაირღვა და შეურაცყოფილი მომღერალი წამსვე უკან გაბრუნდა. ასეთივე ბედი ეწვია ქართველ მოწაფეთა მომღერალ გუნდს. ამნაირ ფაქტებს თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით. ბოლშევიკური ნაციონალური პოლიტიკა თავის ძალაშია.

როგორც ვხედავთ, საქართველომ დამოუკიდებლობასთან ერთად თავისი სახელმწიფო ენაც დაჰკარგა. რუსული ენის არ მცოდნეს ყოველგვარი ფასი დაკარგული აქვს, თუ გინდ იგი კომუნისტიც იყოს. ამის დამადასტურებელ ფაქტებს თვით კომუნისტურ გაზეთებშიც იპოვით. მაგალითისათვის საკმარისია «ზარია ვოსტოკა»-ს 18 ოქტომბრის ნომერი. ამ ნომერში გამოქვეყნებულია საქართველოს ცემენტ ქარხნის განცხადება—მომუშავეთა საჭიროების შესახებ—სად. კასპის ქარხნისათვის. ნომრებით ჩამოთვლილია სხვადასხვა სპეციალისტები და ბოლოს «19 მაშინისტკა რუსულ ენაზე». განცხადებას ბოლოში დართული აქვს განმარტება, რომ «ზემოთ აღნიშნულ მომუშავეთათვის სავალდებულოა ცნობები თუ სად მუშაობდენ უკანასკნელად და სასურველია ქართული ენის ცოდნა». როგორც ამ განცხადებიდან ვხედავთ, ქართული ენის ცოდნა მხოლოდ ს ა ს უ რ ვ ე ლ ი ყოფილა. მაშ რომელია სავალდებულო, აუცილებელი? პასუხი მგონია გარკვეულია. და ეს ხდება არა თფილისში, არამედ კასპში, სადაც აღნიშნულ ქარხანაში ქართველ მუშათა რიცხვი 95 პროც. აღემატება.

მართალია, ქართულ სკოლებში სწავლა მშობლიურ ენაზე სწარმოებს, მაგრამ დამთავრების შემდეგ ახალგაზდა ცხოვრებისათვის სრულიად მოუმზადებელი გამოდის. სწავლების ხარისხის მაქსიმალურად დაცემაც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, რუსული ენის ცოდნა ხომ აუცილებელია. ეს გარემოება მხედველობაში მიიღო განათლების ორგანოებმა და გადიდებულ იქნა რუსული ენის გაკვეთილები ქართულის ხარჯზე, ე. ი. თუ გასულ წელს ექვსწლიურში ქართული ენის გაკვეთილები სკოლაში 3 უდრიდა, ხოლო რუსულის—2, წელს ქართულის უდრის 2, ხოლო რუსულის—3. გარდა ამისა «ოქტომბრის» ენა შემოღებულია I საფეხურის სკოლებში მესამე ჯგუფიდან. ასეთია მოკლეთ მდგომარეობა აპარატებში გაბატონებულ ენისა და საერთოდ ქართული ენის შესახებ.

ეხლა რამდენიმე სიტყვით შევეხებით გეპეუს ძალისა და მნიშვნელობის საკითხს სახელმწიფოს ცხოვრებაში. მით უმეტეს ეს საკითხი გვაინტერესებს არა მარტო ჩვენ, არამედ თვით კომუნისტებსაც კი საშინელ ლოდათ აწევს გულზე. გეპეუ ყოვლის შემძლე დაწესებულებაა საერთოდ საბჭოთა კავშირის სინამდვილეში. მისი ძალა და უფლება განუზომელია. ჩეკა და ცეკა ერთი მეორეს ავსებენ, ისინი ერთიმეორის დამატებაა. ხშირად პარტია და ხელისუფლება ჩეკას უშუალო კარნახით მუშაობენ. ჩეკა პარტიისა და ხელისუფლების კონტროლია, მბრძანებელი და აღმასრულებელი. ყველა დაწესებულებების სამეურნეო და პოლიტიკურ საქმიანობას ჩეკა იკვლევს და დამნაშავეებს პასუხის გებაში აძლევს. სასამართლო ხომ მისი უშუალო კარნახით მოქმედებს. ერთი სიტყვით, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თვითეულ პასუხისმგებელ კომუნისტს გეპეუს სახელის გაგონება შიშის ზარსა სცემს. ამიტომ იყო, რომ სტალინმა საქ. ცეკას და ზაკრაიკომის ხელმძღვანელად ჩეკის დაგეშილი მოხელე გადმოიყვანა. ეს პიროვნება ორივე ამ აპარატს ერთის ხელით განაგებს და აკეთებს იმას, რასაც მოსკოვიდან უბრძანებენ. გეპეუს თვითეული თანამშრომელი გაცილებით მეტი პრივილეგიებით სარგებლობს, ვინემ რომელიმე პასუხისმგებელი კომუნისტი. მათი ცხოვრების პირობები პირდაპირ ფანტასტიურია. ფული ხომ მათთვის განუზომელია. სახელმწიფო ბანკი გეპეუს სრულ განკარგულებაშია. თვითეულ დაწესებულებაზე ფულის გაცემის საკითხებს ბანკის გამგეობა ჩეკის სანქციით სწყვეტს. თვითონ გეპეუ კი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ღებულობს განუზომელ თანხებს ბანკიდან მაშინ, როდესაც მთელი საქართველოს მუშა მოსამსახურეებს 3-4 თვის ხელფასი არ მიუღიათ. უტყუარი ცნობებიდან ირკვევა, რომ საქართველოს მაშტაბით ხელფასის დარგში დავალიანება პირველ ოქტომბრისათვის 32 მილიონ მანეთს აღემატება. აქედან ადვილი გასაგებია, თუ რა მდგომარეობას უნდა განიცდიდეს მუშა მოსამსახურენი ასეთი წარმოუდგენელი სიძვირის ხანაში. როგორც ვთქვით ჩეკისთვის ყველაფერია. იგი ოდნავადაც არ გრძნობს არსებულ უბედურებას და ამიტომ მაძღარი კუჭით და ლორწიერი ხელებით ერეკება ყველა იმათ, ვისაც უკმაყოფილების ოხვრა აღმოხდება.

გეპეუს წყობა ასე უნდა წარმოვიდგინოთ: თვითეულ ადმინისტრატიულ რაიონში მას ყავს პოლიტბიურო რწმუნებულით. აქ თანამშრომელთა რიცხვი დამოკიდებულია რაიონის პოლიტიკურ მდგომარეობისაგან. მაგ. დასავლეთ საქართველოს და კერძოთ გურიის რაიონები უფრო გაძლიერებულია თანამშრომლებით, ვინემ სხვა რომელიმე კუთხე. საერთოდ პოლიტბიუროს აპარატის გაძლიერება ხდება შექმნილ პოლიტიკურ ატმოსფერასთან შეფარდებით. რაიონის და ავტონომიური კუთხეების პოლიტბიუროები ექვემდებარებიან საქ. პოლიტ. სამართ-

ალმდეგობა არ გაუწიეს: ფიქრობდენ, სოციალდემოკრატიასთან ბრძოლაში პაპენის მხარეზე იქნებოდა რაიხსვერი, ჰიტლერის რაზმები და ფოლადის მუზარადი. ამას კი შეიძლებოდა მოყოლოდა სოციალდემოკრატების დამარცხება და მათი ძალების დაქსაქსვა. ამიტომ მათ აირჩიეს დროის მოგების ტაქტიკა. ამით უნდოდათ თავისი ძალები დაეზოგათ და ხელსაყრელ მომენტისათვის ეცადათ. როგორც სჩანს, გერმანიის სოციალდემოკრატია დღესაც ამ ტაქტიკას ადგია და შესაფერ დროს უცდის.

როდის დადგება ეს მათთვის ხელსაყრელი დრო, როგორია მათი პერსპექტივა?

გერმანიის სოციალდემოკრატიის ზოგი გამოჩენილი პოლიტიკოსები ფიქრობენ, რომ ჰიტლერი მოექცა მთავრობაში სწორეთ იმ დროს, როცა გერმანია განიცდის მეტათ მწვავე ეკონომიურ კრიზისს. მისი მდგომარეობა დღეს, მათი აზრით, გაცილებით უარესია, ვიდრე მუსოლინისა, როცა ეს უკანასკნელი ძალაუფლებას დაეპატრონა ამ ათი წლის წინეთ იტალიაში. ჰიტლერის დღევანდელი მთავრობა არსებულ კრიზისს თავს ვერ გაართმევს, ძალზე გაუარესდება მდგომარეობა არა თუ მუშათა კლასისა, გლეხობისა, წვრილი ბურჟუაზიისა და ინტელიგენციისა, არამედ თვით ბევრი კაპიტალისტებისა. მოსალოდნელია აგრეთვე ჰიტლერის მთავრობაშიდაც დაიწყოს კონფლიქტი და იქ ერთი მეორეს დაეტაკონ. ყველაფერ ამას მოყვება ჰიტლერის ავტორიტეტის და პოლიტიკის დაცემა და გაკოტრება ხალხის თვალში და მისგან ფართე მასების ჩამოცილება. და აი ამ მომენტისათვის უნდა შევინახოთ ჩვენ ყველა ძალებიო.

მაგრამ პოლიტიკის გაკოტრებაში ხომ არ არის მარტო საქმე! სტალინის პოლიტიკა ოცჯერ გაკოტრდა რუსეთში, მიუხედავათ ამისა, ბოლშევიკების დიქტატურა კიდევ გრძელდება იქ. ბოლშევიკებმა განაიარაღეს რუსეთის ხალხი, ამავე დროს რეგულიარული ჯარების გვერდით შექმნეს წმინდა პარტიული რაზმები, რომელიც მათ საჭიროების დროს რეგულიარული ჯარის არა სანდო ნაწილების წინააღმდეგაც გამოადგებათ.

ბოლშევიკების მაგალითს მიბაძეს ფაშისტებმა იტალიაში. მათაც შექმნეს იქ თავისი პარტიული რაზმები, რომელთაც ისინი სავსებით ენდობიან და რომელზედაც საფუძვლიანათ ეყრდნობიან.

ეხლა კი ჰიტლერელები ბაძავენ ბოლშევიკებს და იტალიის ფაშისტებს და მათგან გადმოღებული ბრძოლის მეთოდებით და საშუალებებით სარგებლობენ.

ჰიტლერი დღეს ქმნის თავის მიმდევრებიდან გაცილებით მეტათ საგრძნობ სამხედრო ძალას, ვიდრე რაიხსვერია. რაიხსვერში ეხლა 100.000 კაცი ითვლება. კარგათ შეიარაღებულ ჰიტლერელების რაზმების რიცხვი კი 600.000 კაცამდე აღწევს. მათ ხელშია მთელი პოლიცია და ადმინისტრაცია. რესპუბლიკანელთა ყველა რაზმებიც განიარაღებულია.

ფოლადის მუზარადს, რომელიც ჰიტლერელების მოკავშირეთ ითვლება, ჰიტლერი დიდათ აღარ ენდობა და მას არც რაიმე ანგარიშს უწევს. ეს ნათელჰყო ბრაუნშვეიგის მაგალითმა: ჰიტლერელებმა ფოლადის მუზარადიანები ეჭვის ქვეშ დააყენეს, ისინი დაატყვევეს და განაიარაღეს. მაშ, არ არის საფუძვლიანი ზოგიერთების დიდი იმედები, რომ სამხედრო ძალის ამ ორ დაჯგუფებათა შორის კონფლიქტს რაიმე სერიოზული ამბები მოყვება.

ზოგი კიდევ ფიქრობს, რომ, თუ მაკდონალდის განიარაღების გეგმა იქნება მიღებული ჟენევაში, ამას არა რეგულიარული ძალების (ჰიტლერელების და ფაშისტების რაზმები გერმანიაში და იტალიაში, ჩონი რუსეთში) მოშლა და მოსპობა მოყვება. მაგრამ დიქტატორული რეჟიმის არსებობა გერმანიაში, იტალიაში და რუსეთში ხომ უმთავრესათ დამოკიდებულია სწორედ ამ არა რეგულიარულ სამხედრო ერთეულთა ძლიერებაზე, ამიტომ დიდი გულუბრყვილობა იქნებოდა დაგვეჯერებინა, რომ დღევანდელი წითელი თუ შავი ფაშიზმი მაკდონალდის განიარაღების გეგმას მიიღებენ.

ჰიტლერი პირად დიქტატურისაკენ მიისწრაფვის. ის ცდილობს მისი დროებითი მოკავშირეებისაგან (გერმანელი ნაციონალისტები, ფოლადის მუზარადი) თავი რაც შეიძლება მალე განთავისუფლოს და შექმნილ მდგომარეობაში ყველაფერს თავისი საკუთარი ძალებით გაუმკლავდეს.

ჰიტლერი იბრძვის და აქტიურია, მისი მოწინააღმდეგენი კი უმოქმედო და პასიურია.

თუ რუსეთში ჯერ კიდევ ბოლშევიკები ბატონობენ, ეს აიხსნება, ერთი მხრივ, მათი ენერგიით და აქტივობით, მეორე მხრივ და უმთავრესათ მათ მოწინააღმდეგე სოციალისტური და დემოკრატიული პარტიების უმოქმედობით და პასიობით.

გერმანიაშიდაც ფაშისტური რეჟიმი იმდენათ უფრო ხანგრძლივი და სტაბილური იქნება, რამდენადაც იქ სოციალისტური და დემოკრატიული პარტიები რუს თანამოძმე პარტიების ტაქტიკას შეითვისებენ და ბრძოლას და მოქმედებას გვერდს აუხვევენ.

ეხლა, როცა გერმანიის სოციალდემოკრატია მეტათ მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, ფრიად საძნელოა მისი კრიტიკა, მაგრამ სიმართლის თქმა მაინც აუცილებელია.

გერმანელ სოციალდემოკრატებმა უთუოდ გაუშვეს ხელიდან მათთვის ზოგი ხელსაყრელი მომენტები, როგორც მაგალითად, გასული წლის ივლისის დღეები, როცა მათ შეეძლოთ მოწინააღმდეგეთათვის ბრძოლა მიეცათ და ისინი დაემარცხებიათ.

როცა ორ მოწინააღმდეგეთა შორის ერთი იბრძვის, მეორე კი ბრძოლას ერიდება, გამარჯვება უთუოთ პირველს ხვდება.

ნაციონალ სოციალისტები თავიდანვე დაუზოგველ ბრძოლას აწარმოებდენ გერმანიაში, სოციალდემოკრატები კი თავის მხრივ ყოველივე ღონეს ხმარობდენ ბრძოლა თავიდან აეცილებიათ. მოთმენის და შეგუების პოლიტიკით ფიქრობდენ ისინი დროის მოგებას და თავიანთი ძალების დაზოგვას და გამაგრებას. მოხდა კი წინააღმდეგი: გამაგრდა და გაძლიერდა სწორედ ის მხარე, რომელიც მუდამ იბრძოდა და ბრძოლას არ ერიდებოდა.

დღეს არის მეტათ დამაფიქრებელი და სამწუხარო ნიშნები, რომ გერმანიის სოციალდემოკრატიის ძალზე გაზვიადებული მოთმინების პოლიტიკამ მოგვცა მეტათ არა სასურველი შედეგები. ცნობებია, რომ გერმანიის მუშათა კლასის ერთ ნაწილს და განსაკუთრებით პროფესიონალურ კავშირებს ეტყობათ ტენდენცია შეეგუონ ჰიტლერის მთავრობას და მით თავიანთი არსებობა გადაარჩინონ.

მეორე, კიდევ უფრო დამაფიქრებელი ამბავი. გერმანიის სოციალდემოკრატიის ლიდერი ველსი, რომელსაც არ მოსწონებია სოციალისტური ინტერნაციონალის ბიუროს მიერ 27 მარტის პარიზში მიღებული რეზოლიუცია, რომელშიდაც ბიურო დიდ თანაგრძნობას უცხადებს გერმანელ სოციალისტებს, მორალურათ მათ მხარს უჭერს და ჰიტლერის მთავრობის მოქმედებას და დღევანდელ პოლიტიკას სასტიკათ გმობს, გადაუწყვეტია ინტერნაციონალის ბიუროდან გასვლა და ეს მისი გადაწყვეტილება ინტერნაციონ. სეკრეტარიატისათვისაც უცნობებია.

ველსის ნაბიჯი უთუოთ გერმანიის სოციალდემოკრატიის გადაჭარბებული სიფრთხილის შედეგია. ველს ალბათ არ სურს ჰიტლერი გააღიზიანოს და მით მისი რისხვა სოციალდემოკრატიის წინააღმდეგ მიმართოს. ამიტომაცაა რომ ის ინტერნაციონალის რეზოლიუციებთან სოლიდარობაზე უარს აცხადებს.

როგორც ზემოთ ვამბობდით, გერმანელ ამხანაგებს იმედი აქვთ, რომ ჰიტლერი გერმანიის დღევანდელ მძიმე მდგომარეობას თავს ვერ გაართმევს, მისი პოლიტიკა გაკოტრდება და შემდეგ ძალაუფლება მათ ადვილათ ხელში ჩაუვარდება. მაგრამ ეს ფატალისტური შეხედულებაა ისტორიაზე და როგორც ასეთი ვერ თავსდება სოციალიზმის ფარგლებში. წინააღმდეგ, ასეთ ფატალისტურ შეხედულებას შეიძლება მოყვეს გერმანიის მუშათა კლასის სრული დაქსაქსვა და დემორალიზაცია, მისი ფაშისტების ბანაკში გადასვლა და მათთან შეგუება და დამორჩილება.

გერმანიის მუშათა კლასის და მისი ხელმძღვანელი სოციალდემოკრატიული პარტიის გადარჩენა ასეთი მოსალოდნელი დემორალიზაციისაგან შესაძლებელია მხოლოთ პარტიის მიერ საკუთარი სახის შერჩენით, აქტიური ბრძოლის წარმოებით და ფართე მასებში ენერგიის და ენტუზიაზმის ჩაბერვით.

გ. ფარჯალაძე.

უბად ასალები, წყალ წასალები

«გუშაგი» განაგრძობს ასეთი ამბებით ჩვენ გართობას. მისი უკანასკნელი ნომერი განმეორებაა პირველის. აქაც თავიდან ბოლომდე იგივე მიზანია ნიშანში ამოღებული და სპირდონული «პუგაჩი» ამუშავებული. საქართველო დაუქცევია ჟორდანიას და მენშევიკებს, თვარა სტალინი და ბოლშევიკები აქ რა შუაშია—აი ამ წყალწაღებულთა უკაცრავათ პასუხია «პლატფორმა», უხილავის მიერ დაბარებული და მათ მიერ კარგათ გაზეპირებული. ეს გახლავს მათი ნატვრის სუფრა, რასაც ცნობილი ხაცარქქია გაშლიდა და უშრომლათ და უდავიდარაბოთ მოუვიდოდა რასაც მოინატრებდა. გუშაგელნიც გაშლიან ამ «პლატფორმას» და ცა ქუდათ მიაჩნიათ, დედამიწა ქალამნათ. რა ქნან, გამოჭირულნი არიან, რას ეტყვის დიდი გმირი, მათი დიდი ხაზეინი. ერთი სიტყვით, «ორმოც კოკიანი ჭური, ცარიელი შალვამ ნახა, რაც ჩასძახა, კარგათ ვხედავთ, ჭურმაც ის ამოსძახა».

ნათქვამია. ერთი თხისკენ, მეორე მგლისკენაც თქვიო. კედიას არ დაეკარგვის ნამსახური. ამ კამპანიაში პირველი «ეე» მას ეკუთვნის უეჭველია, მაგრამ თავის დროზე არ მიაქციეს ყურადღება და ვერ დააფასეს. ახლა მიხვდენ რომ ციხეს შიგნით მოკავშირეს რა სჯობია. დაირაზმა ყმაწვილები, შეინძრა უსაქმურთა ბულვარი და იშვა ექვს-ექვს გვერდიანი «გუშაგი».

. .
.

ამ პანარამის მთავარი აქტიორები კულისებშია, სირაქლემასავით ჩირგვში თავით დამალულნი, ხოლო ბოლო საასპარეზო გამოფენილი. საჯირითოთ გამოყვანილია ცნობილი ფალავნები; ამათ შორის პირველი კვერთხი ხელთ უპყრია თვითონ კედიას, თავისი უშველებელი წერილით. გუშაგელთა ჰანგებზე აწყობილით და მევარ და ჩემი[illegible]რებული. აქაც, რასაკვირველია, იგივე ქარუმიძეა მეასეჯერ შექებული, რომელიც თურმე საქართველოს იხსნიდა, რომ იმ წყეულ მენშევიკებს დაენებებია. აანთო რა ეს სავალდებულო სანთელი, ავტორმა არც თავისთავი დაივიწყა და სარბიელზე ამაყათ დადგა. «მოდით რაღა, მეთაყვანეთ, მე ვარ თქვენი წინამძღოლი, მე ვარ მხოლოდ მე, მე, მე... არვინ არის ჩემი ტოლი...» ამ კუდაბზიკამ ასე გამოგვიჭედა ყველას ყური. რა ენაღვლება, არავინ აქებს, თავისთავს იქებს, იქებს რასაკვირველია, უზომო ტყუილებით: მის «მოგონებებს» იმდენი კავშირი აქვს სინამდვილესან, რამდენიც ყალბ ჩერვონცებს ქართულ საქმესან. მაგრამ რა ქნას, ასე დააბარეს და მას ვერ გადაუხვევს. გაცემულ თამასუქებს პირნათლათ ასრულებს. პოეტის არ იყოს, «ეგ ყეენები ყველა ერთმანეთის დარია, ალია და ოსმანა ორივე თათარია».

. .
.

ამ საყეენოში დიდი ამბავია, ბულვარის აკადემია აფორიაქებულია. დიდი ჭორები, დიდი მიეთ მოთობაა. ვიღაცა ყმაწვილმა თურმე გრენელის ვექილთ კუდზე ფეხი დაადგა, შეიქნა საზარელი წრიპინი, ყველაზე უფრო მტყუანი ყველაზე უფრო აწრიპინდა, რასაკვირველია; ხელათ გალმა დავაზე გადავიდენ, რომ გამოლმა შერჩენოდათ. ზოგი აქეთ, ზოგი იქით—შეიქნა უსაქმურთა დიდი გართობა. ენა აქავებულნი, სეირის მძებნელნი, დამნაშავეთა ხელი, ყველა ეს ერთათ აირია, და გამართეს ბჭობა იმაზე თუ როგორ მოვიშოროთ მოსაქმე და თავდადებული მოღვაწენი და დავინარჩუნოთ ბურთი და მოედანიო. ერთი სიტყვით, მელა მექათმეთ დადგა, მგელი მწყემსათ გამოვიდა და ცხვრების ფარა დაიმარტოვა. ბულვარის აკადემიას თავის შესაქცევი ბლომათ მიეცა. ენა გრძელნი, შუბლ მაგარნი ცხელ-ცხელი ამბებით დატვირთულნი, დაზუმპულნი შეუდგენ საქმეს. ამათზე უთქვამს აკაკის «ეშმაკი ეშმაკს პატიჟებს სასუფეველში გელიო».

გეპეუ პარიზში

ამ სათაურით პარიზელ რუსულ გაზ. «პასლედნია ნოვ.» (11 მარტის) მოთავსებულია ცნობა, რომელიც მიუწოდებიათ გაზეთისათვის «ქართულ კომპეტენტურ წყაროებიდან». მოგვყავს ამ ცნობის ტექსტი:

«ქართველი ემიგრაციის პოლიტიკური მოღვაწეობის სახელის გატეხის მიზნით გეპეუს აგენტებმა მოახდინეს ცდა დაკავშირებოდენ ზოგიერთ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს ერთი უცხო ანტიკომუნისტური ორგანიზაციის ფირმით, რისთვისაც გამოიყენეს ერთი ქართველი ემიგრანტი, ბ. გამყრელიძე. ჩეკისტების ცდა იმ თავითვე გამოაშკარავებულ და ბოლომოღებულ იქნა. ბ-ნ გამყრელიძის მიერ გეპეუს აგენტებისაგან მიღებულ ცნობების სისწორე, მისი მათთან თანამშრომლობის განმავლობაში, რომლებიც მან სხვადასხვა დროს ამცნო დაინტერესებულ ქართველ წრეებს, მის პირად პასუხისმგებლობის ქვეშ რჩება. რაც შეეხება ქართულ კოლონიაში გავრცელებულ ხმებს, თითქოს ბ. გამყრელიძის მხილებებთან დაკავშირებით ჩირქი მოსცხებოდეს «მთლიან ეროვნულ ფრონტის» ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწეებს, ეს ხმები ყოვლივე საფუძველს მოკლებულია და აშკარაა, გავრცელებულია გეპეუს აგენტების მიერ».

«ბრძ. ხმის» რედაქცია დაუბრუნდება ამ საგანს შემდეგ ნომერში.

ველოს, ხოლო ეს უკანასკნელი ამიერკავკასიისას და ა. მ. გეპეუს ყავს სპეციალური ჯარი, რომელიც მის გვერდითაა დაბანაკებული. კვებისა და ჩაცმა-დახურვის მხრივ ეს ჯარი განსაკუთრებულათ არის დაკმაყოფილებული.

ჩეკის მუშაობის მეთოდი ზედმიწევნით ფრთხილი და კონსპირატიულია. სპეციალურად ზრდის შპიონებისა და აგენტების კადრებს. მათთან კავშირი დამყარებულია უაღრესად კონსპირაციის ნიადაგზე. მაგრამ შპიონების კვალის დაფარვა ამ უკანასკნელ დროს აღარ ხერხდება ჩვენი ბრძოლის მეთოდების შეცვლის გამო. სწარმოებს ასე თუ ისე საეჭვო მოქალაქეების სპეციალური დაზვერვა შესწავლა. «სლიშკებათ» უმთავრესად იყენებენ ზნედაცემულ ქალებს და კომსომოლებს. საერთოდ ჩეკის მუშაობის მეთოდი გაცილებით უფრო მოქნილი და თავისებურია, ვინემ ეს მეფის ჟანდარმერიას ჰქონდა. შპიონი იმდენად გამოწრთვნილია ფსიქოლოგიურად, რომ მისი საეჭვოთ მიჩნევა ზედმიწევნით ძნელი ხთებოდა. ამაზე იხარჯება მილიონები. ხშირია შემთხვევა, როდესაც ასეთ დამუშავებულ ადამიანს გადაიყვანებენ არალეგალურ მდგომარეობაში და 2-3 წლის მალვის შემდეგ ჯაშუში უახლოვდება გზადაბნეულ მასას, აწყობს ახალ საქმეს და ბოლოს იწყება ნადირობა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ არალეგალური ამხანაგების სიმრავლემ და მუშაობის წინანდელმა მეთოდებმა საგრძნობი ზიანი მოუტანა ჩვენს ორგანიზაციებს, რადგან მათთან დაახლოვებას ადვილად ახერხებდა ჩეკის მიერ გაშვებული დაგეშილი აგენტი. ამის შედეგი იყო ის, რომ ცნობილმა პროვოკატორმა (ოდესღაც ახ. მარქსისტმა) კუტალაძემ და მისმა ერთმა თანამოაზრემ მოულოდნელათ მოჰკლეს ს. სუფსაში გურიის ორგანიზაციების ხელმძღვანელები ამხ. კვერღელიძე და მუჯირი 1929 წელს. ასევე მოჰკლეს გურიაში მ. გუნთაიშვილი, ვ. ადეიშვილი—იმერეთში 1931 წელს და სხვა. არალეგალური ამხანაგების შემნახველები კი ასობით ცვიოდენ ჩეკის სარდაფებში.

როგორც ვხედავთ, გეპეუს მუშაობის მეთოდები მრავალნაირია. გასულ წელს დამთავრებულ იქნა ჩეკის ახალი შენობა, რომელიც გაჭიმულია კლასიკურ ქუჩაზე, შენობა ვეებერთელაა და შეიცავს სპეციალურ განყოფილებებს. სამი სართულია კლასიკურ ქუჩიდან, ოთხი კი დავიდოვიდან. მიწის ქვეშ სამი სართულია: საპატიმრო კამერები მოთავსებულია შიგნით. პატიმრები დაყოფილია დანაშაულის ხარისხის მიხედვით და განაწილებულია სარდაფებში და კამერებში. არსებობს სპეციალური განყოფილება, სადაც გამოყენებულია გამოტეხის ყოველგვარი ტეხნიკური საშვალება: წყალი, ელექტრონი, სიცხე, სიცივე და მექანიკა. ამ სატუსაღოს შეუძლია დაიტიოს 3-4 ათასი პატიმარი. შედარებით უფრო მსუბუქი დანაშაულის მქონე პოლიტ. პატიმრებისთვის მეტეხის ციხეა.

გამოძიება რამდენიმე თვე გრძელდება. ჩეკის ახალ საპატიმროში დღესაც სხედან პატიმრები, რომელთა საქმე 20 თვის წინათ დაიწყო, მაგრამ გამოძიებისათვის თავს არავინ იწუხებს. ხშირია შემთხვევა, როდესაც ტყვეს რამდენიმე თვის ჩეკაში ყოფნის შემდეგ გამოუძიებლად ასახლებენ რუსეთში 2-3 წლის ვადით. გამოძიების საქმეს უმთავრესად გამოცდილ ინკვიზიტორებს აბარებენ. ჩეკასთან არსებობს პოლიტ-საქმეთა პროკურატურა, რომელიც ფაქტიურად არაფრის შემძლეა. მაგ. ამ საქმეზე სასამართლოს მიერ ჩეკასთან მიმაგრებული იქნა კ. ხარაბაძე, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლოს ნორმების დაცვის გამო მას ჩქარა ბარგი აუკრეს. ერთი სიტყვით, ჩეკა სავსებით დამოუკიდებელი დაწესებულებაა, რომელიც საკუთარი წესისა და სურვილის მიხედვით მოქმედებს.

ტყვეების მიმართ გამოყენებულია წვალების ყოველგვარი ზომა: ცემა, შიშვლათ «სეკრეტში» ჩაგდება რამდენიმე კვირით და საერთოდ ყველა ის საშვალებები, რომელნიც ზევით აღვნიშნეთ. ადამიანის ყოველგვარ ღირსებას უმოწყალოდ ფეხქვეშ სთელავენ. პატიმრებს კვებავენ შავი პურით და ლობიოს ან კარტოფილის ნახარშით. ბინა, როგორც ვთქვით, აუტანელია; ტფილისში ჩეკის მიწის ქვეშა სართულები და მეტეხის ციხე, ხოლო პროვინციაში ნესტიანი სარდაფები და ერთეულები.

ამ ბოლო დროს შემოღებულ იქნა მისჯილ პოლიტ პატიმართა სოვხოზებში სამუშაოდ გაყვანა. მეტეხის ციხიდან ასობით ერეკებიან ტყვეებს ალაზნისა და შირაქის ბამბის საბჭოთა მეურნეობაში აუტანელი შავი სამუშაოს შესასრულებლად. უარის თქმა იზოლიაციით გადასახლებას იწვევს. აღნიშნულ სოვხოზებში მყოფ მუშათა პირობები აუტანელია. პირდაპირ შიმშილით იხოცებიან. ცუდი კვებისა და წყლის უვარგისობის გამო გავრცელებულია ტიფის ეპიდემია, რის გამო ყოველ კვირაში ასობით ასაფლავებენ, როგორც ადგილობრივ, ისე უკრაინიდან და რუსეთიდან გადმოხვეწილ ადამიანებს. ციხის პირობებში მყოფ ტყვეებისათვის ხომ მით უმეტეს შეუძლებელი იქნებოდა ასეთი ძნელი საქმის ატანა. და აი, ხელისუფლება დადგა საშინელი ფაქტის წინაშე: სამუშაოდ გაყვანილ პოლიტ-პატიმრებიდან 15 კაცი პირველ მისვლისთანავე დაიხოცა, ამათ შორის მოჰყვა არაჩვეულებრივი ნიჭისა და მომხადების მქონე, ჩვენი ახალი თაობის თვალი და სინდისი ამხ. დიმიტრი გობრონიძე. აგრეთვე საუკეთესო ამხ. თალაკვაძე და სხვები.

გადასახლება ხდება პერიოდულად ეტაპებით და ერთეულადაც. ხშირად ტყვეებს მოულოდნელადაც ასახლებენ მოუმზადებლად და უპატრონოდ. ამიტომ ბევრი მათგანი გზაში და ადგილას მიყვანის ცოტა ხნის შემდეგ იხოცებიან. უმრავლესობას გზავნიან იზოლიაციით. განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ციხიდან უშვებენ გამონაკლის შემთხვევის გარდა, მაგრამ ციმბირის რომლიმე განსაზღვრულ ადგილის გარეშე ფეხის გადადგმა შეუძლებელია. იგზავნებიან უმთავრესად უკიდურეს ჩრდილოეთ მხარეში და ზემო ურალში.

1931 წელს ციხეებში დამწყვდეულთა რიცხვი 3000 აღემატებოდა. ასეთივე მდგომარეობაა წელსაც. მასიური შემთხვევებია, როდესაც უბრალო ეჭვის ნიადაგზე აპატიმრებენ და ასახლებენ უდანაშაულო ადამიანებს. გადასახლებულთა საერთო რიცხვი დაახლოვებითი ცნობებით 15.000-მდე ადის (კომუნისტების გამოკლებით). ბევრი მათგანი უკვე გარდაიცვალა. გადასახლებულ პოლიტ-პატიმრებს ხშირად ამუშავებენ საკონცენტრაციო ბანაკებში, სადაც ბევრი მათგანი იხოცება შიმშილისა და მუშაობის აუტანელი პირობების გამო. საბჭოთა დემპინგის წინააღმდეგ ევროპის ხალხების ამოძრავების პირველ ხანებში პატიმრების წამება ცოტათი შენელდა, მაგრამ შემდეგ ისევ განახლდა. ეხლა კი საშინელ მდგომარეობას აქვს ადგილი: ღონე მიხდილ ადამიანებს მხეცურად ეპყრობიან, მათრახებით სცემენ და ამუშავებენ მუქთად.

გადასახლებულთა საერთო რიცხვიდან კომუნისტები 5-6 პროც. არ აღემატება. საერთოდ ისინი განსაზღვრული სასჯელის შემდეგ ადვილად ახერხებენ სამშობლოში დაბრუნებას, რაც ჩვენი პატიმრებისათვის ოცნებაა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ მცირე გამონაკლისს, რომლებიც ღრმა მოხუცებლობისა (თუ ძალიან საშიში არაა) და მძიმე ავადმყოფობის გამო. ვადის გასვლის შემდეგ უკან ბრუნდებიან, მაგრამ ჩამოსვლისთანავე ბევრი მათგანი იხოცება. აგრეთვე ციხიდან გამოშვებული პატიმრებიც ხშირად კვდებიან ჭლექით. ასე დაიხოცნენ მაგალითად ჩვენი ორგანიზაციის საუკეთესო წევრები და ხელმძღვანელები ამხ. დ. ქორიძე, (რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ) გ. მსხალაძე, გ. ვასაძე და სხვ.

როგორც ვხედავთ ჩეკის მსხვერპლთა რიცხვი დღითი დღე მრავლდება.

მიუხედავად კომპარტიის გახრწნისა, ეკონომიური გაკოტრებისა და მასების ფიზიკური განადგურებისა, კომუნისტური პრესა მაინც ამაყად დგას და ყოველ წუთს მიღწევების შესახებ გაჰკივის. ამიტომ მისი ალარავის სჯერა. მიუხედავად ამისა მოთხოვნილება გაზეთებზე საერთოდ გადიდებულია. «კომუნისტის» გამომცემლობა ვერც კი აკმაყოფილებს ხელის მომწერლებს. ქუჩაში გაზეთების შოვნა თითქმის შეუძლებელია. სამაგიეროდ უხვად ნახავთ სხვა და სხვა სახის ჟურნალებს, რომელსაც მკითხველი არ ეკარება. ეს მოვლენა აიხსნება მხოლოდ ერთი მიზეზით: ხალხი დაინტერესებულია საერთაშორისო ამბების მსვლელობით, რის სისწორით დაბეჭდვა საბჭოთა პრესას სრულიად ერ ეპიტნავება, მაგრამ ის მწირე ცნობები, რომლებიც დროგამოშვებით იბეჭდება გაზეთებში—ყველაფრისაგან მოწყვეტილ მასას სულიერ საკვებათ მიაჩნია. საბჭოთა ხელისუფლების მდგომარეობის გართულებას საგარეო ფრონტზე ხალხი განსაკუთრებულ თვალყურს ადევნებს და მას განთავისუფლების იმედებს უკავშირებს. მაგალითისათვის საკმარისია ჩინეთის მიერ საბჭოთა საზღვრების გადმოლახვის ამბავი და ამ უკანასკნელად იაპონიის ამოძრავების ფაქტები. აღნიშნულ პერიოდში გაზეთები ხელიდან ხელში გადადიოდა. ყველა ერთ საერთო აზრს—საბჭოთა ხელისუფლების დაცემის საკითხს უკავშირებდენ ამ ამბავს და ამ ნიადაგზე ჭორიც ბევრი ვრცელდებოდა.

გარდა ამისა ხალხი განსაკუთრებით თვალყურს ადევნებს აგრეთვე კომუნისტური პარტიის გახრწნის ფაქტებს და მისგან გარკვეული დასკვნა გამოაქვთ. ბოლშევიკური რეჟიმის შინაგანი რღვევის პროცესი ისე აშკარაა, რომ მის დაფარვას პრესა ველარ ახერხებს. უკანასკნელი ამბები—ზინოვიევის, კამენევის, უგლანოვის და სხვების გამორიცხვის ამბავი პარტიიდან—ხალხს მალამოსავით დაედო გულზე. ერთი სიტყვით, ბოლშევიკური პრესა (მხოლოდ გაზეთები) ხალხს მხოლოდ იმიტომ აინტერესებს, რომ მასში ტირანიისაგან განთავისუფლების რაიმე იმედი დაინახოს. სხვა მხრივ მისი არავის სჯერა, მყვირალა ანშლაგები «მიღწევების» შესახებ რჩება ხმად მღაღადებლისა.

უკანასკნელად შევეხებით ცალკეული კომუნისტების დამოკიდებულებას ჩვენებთან. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ კომუნისტების უმრავლესობის თვალში საკუთარი პარტიის პრესტიჟი შერყეულია. კარზე მომდგარ უბედურებას ისინი აშკარად ხედავენ და ამიტომ ძველებური ქედმაღლობა აღარ ახასიათებთ; გამოიყურებიან მორცხვად და შეშინებული სახით. ჩვენი იდეების სისწორე მათ მოსვენებას არ აძლევს და ამიტომ ჩვენებთან შეხვედრას არ გაურბიან. მაგრამ ამით მაინც არ შეიძლება იმის თქმა, რომ მათში რაიმე გარკვეული გარდატეხა იყოს მომხდარი. მართალია, მათ ბოლშევიკობის აღარაფერი სცხიათ, მაგრამ ჩვენთან მოსვლის გამბედაობაც არ შესწევთ. ერთი სიტყვით, გზა დაბნეული აქვთ. ამიტომ ბოლშევიზმის კატასტროფის შემთხვევაში საშუალო და დაბალი ფენის კომუნისტების დიდი ნაწილი იმას ამოუდგება გვერდში, ვინც პირველად აღმართავს ბრძოლის დროშას. ამას ისინი ჩაიდენენ თუნდაც საკუთარი ცოდვების გამოსყიდვის გულისათვის.

კომუნისტური პარტია თავის არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლის. ამას თვითეული კომუნისტი ხედავს და მთელი სიმწარით განიცდის.

ისელი.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘ

18 და 19 მარტს მოხდა ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ (ᲞᲐᲠᲘᲖᲘ) სხდომა. ᲓᲦᲔᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ ᲛᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲛᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲐᲐᲠᲘᲥᲝᲕᲜᲘᲩᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲠᲒᲘᲡᲢᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

Arpajon—Imprimerie de *La Gazettede seine-et-Oise.*

Le Gérant : René Toussaint.